ლელა

11–18 ნოემბერი 1994 წ. ● №39 (10907)

ფასი 200 000 კუპონი.

გაგრძელდა 1934 წლის 13 აპრილიდან

ინფორმაცია პირველწყაროდან
დავით კვაჭაძის გადაწყვეტილება

დავით კვაჭაძემ განაცხადა, რომ იგი გადადგა კრივის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან და დასვა საკითხი ამ გადაწყვეტილების დაკმაყოფილების შესახებ.

ქუთაისელები სამართალს ითხოვენ

ქუთაისის სპორტის მესვეურებმა, მათ შორის, მორაგბეთა კლუბ „აიას“ ხელმძღვანელებმა, წერილით მიმართეს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტსა და რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელებს, აგრეთვე საქართველოს ტელევიზიას და გაზეთ „ლელოს“ რედაქციას. წერილში გამოთქმულია აღშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ დარღვეულია რაგბში ეროვნული ჩემპიონატის დებულება და ქუთაისის „აიას“ ჩემპიონატში მიენიჭა შესამე ადგილი. როცა ჩემპიონის ვინაობა ქუთაისელთა ტოლობის გამო გადაწყვეტილი რჩება, დებულებით ინიშნება ერთწრიანი შეჯიბრება, რასაც ელოდნენ კიდეც ქუთაისელები. თუ ეს სადავო საკითხი ქუთაისელთა გუნდის ხელმძღვანელების მონაწილეობით არ განიხილება, „აია“ როგორც სპროტესტო წერილშია ნათქვამი, საერთოდ გამოეთიშება საქართველოს მომავალ ჩემპიონატს.

ერევანი ეპატიჟება ოლიმპიადას...

„მიუხედავად შექმნილი სიძნელეებისა, მზად ვართ ვუმასპინძლოთ 1996 წლის საჭადრაკო ოლიმპიადას“ — განუცხადა ერევანში სტუმრად ჩასულ ფიდეს პრეზიდენტს ფ.კამპომანესს სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ პეტროსიანმა.

კამპომანესმა დაათვალიერა სპორტულ-საკონცერტო კომპლექსი და შთამბეჭდავი უწოდა მას. მოეწონა სასტუმრო მეურნეობაც, მაგრამ თქვა: „ბოლი ჯერჯერობით მხოლოდ სანახევროდაა შევსებული“.

თუ ვინ იქნება 1996 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძელი, გადაწყდება თენში, სადაც სულ მალე გაიმართება ფიდეს კონგრესი.

ზოგი რამ უელსის ფეხბურთზე

ქართველ და უელსელ ფეხბურთელებს კონტაქტი აქამდე მხოლოდ საკლუბო დონეზე ჰქონიათ. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის 1976-77 წლების გათამაშების პირველსავე მატჩში „კარდიფ სიტიმ“ კარდიფის „ნინიან პარკის“ სტადიონზე მინი-ბ.ალური ანგარიშით (გოლი გაიტანა ოლტონ.) მოუგო თბილისის „დინამოს“, ხოლო შეადეგ. 29 სექტემბერს, თბილისში დინამოელებმა ღირსეული რევანში აიღეს ანგარიშით 3-0 (გოლები გაიტანეს გუცაევმა, ყიფიანმა, კანთელაძემ) და გათამაშების შემდგომ წრეში გავიდნენ.

16 ნოემბრის შეხვედრა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. იგი საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ შექმნილი სატურნირო მდგომარეობის გამო ორივე მხარემ მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლოს.

უელსის ფეხბურთის ასოციაცია („ფუტბოლ ასოშეიშნოფ უელს“) 1876 წელს შეიქმნა და შტაბ-ბინა ქ.რექსემში აქვს. 1910-20 წლებში ევროპას წევრი იყო, შემდეგ მცირედი პაუზა ჰქონდა, 1924-28 წლებში კვლავ აღიდგინა თავი, საბოლოოდ ფიფაში 1946 წელს გაწევრიანდა, ხოლო 1954 წლიდან უეფას წევრი გახდა. უელსში 1810 კლუბია, 150-პროფესიონალი ფეხბურთელი, 36 ათასი — მოყვარული, საერთოდ კი ჭაბუკების გათვალისწინებით მათი საერთო რიცხვი 54 ათასს აღწევს. უელსში სეზონი აგვისტოში იწყება და მასში მთავრდება, ჩემპიონატი არ იმართება, გუნდები ინგლისის სხვადასხვა ლიგებში გამოდიან, მაგრამ უელსის თასის გათამაშება სისტემატურად ეწყობა, სადაც გამარჯვებული შემდეგ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მონაწილეობს.

ეროვნულ სტადიონად ითვლება კარდიფის „ნინიან პარკი“. არც ისე დიდი ხნის წინათ აქ 60 ათასი მაყურებელი ეტეოდა, შემდეგ გადაკეთდა, უფრო კეთილმოეწყო, ადგილები კი 43 ათასამდე შემცირდა, აქედან 10 ათასი საჯდომი ადგილია.

უელსელებს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება აქვთ, თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ერთხელ ითამაშეს, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში კი — არც ერთხელ.

UEFA EURO 96 England

უელსელებს არასოდეს დავიწყდებათ 1958 წელი, მსოფლიოს VI ჩემპიონატი შვეიცარიაში. მაშინ მათ მართლაც შესანიშნავი გუნდი ჰყავდათ. სამივე მატჩი წინასწარ ტურნირში უელსელებმა ფრედ დასრულეს: უნგრელებთან 1-1, მექსიკელებთან 1-1, შვედებთან კი 0-0. შვედები 5 ქულით მეოთხედფინალში გავიდნენ, რასაც უელსელებმა და უნგრელებმა 3-3 ქულა მოაგროვეს, მათ შორის დაინიშნა დამატებითი მატჩი მეოთხედფინალში გასასვლელად. ცნობილმა უნგრელმა თავდამსხმელმა ტიხიმ გახსნა ანგარიში, მაგრამ მას ოლჩერჩმა და მედუნამ ორი გოლით უპასუხეს და გამარჯვებაც უელსელებს დარჩათ. მეოთხედფინალში ისინი მოშავალ მსოფლიო ჩემპიონებს — ბრაზილიელებს შეხვდნენ. შეხვედრის ბედი, აქ ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც პელემ გაიტანა.

უელსის ნაკრები თითქმის ყოველწლიურად მონაწილეობს დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატში ანუ ოთხთა ტურნირში, სადაც მის გარდა ინგლისის, შოტლანდიისა და ჩრ. ირლანდიის ნაკრებები გამოდიან. აქ უელსელებმა შვიდჯერ (1907, 1920, 1924, 1928, 1933, 1934 და 1937) ერთპიროვნულად გაიმარჯვეს, ხუთჯერ კი (1939, 1952, 1956, 1960 და 1970) პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს.

უელსის ნაკრების ძირითად ნაკლად ის ითვლება, რომ მისი მწვრთნელები ინგლისის წამყვან კლუბებზე არიან დამოკიდებული, რასან უელსელები ამ კლუბებში თამაშობენ, მათ საერთაშორისო მატჩებში მონაწილეო-

იხ. მე-3 გვერდი

ქართული სპორტის გადარჩენას მსხვერპლად ისევ სპორტს მოითხოვს

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო დრო, ადამიანები მსხვერპლად განგებას პირმშოს სწირავდნენ. დიდი იყო რწმენის ძალა. ჩვენც ისეთი დრო დაგვიდგა, აყვავებული ქართული სპორტი მთლად რომ არ გამოგვეცალოს ხელიდან და სპორტული გენიც მთლად არ ამოიძირკვოს, მსხვერპლი უნდა გავიღოთ და ეს მსხვერპლი ისევ ჩვენი პირმშოა, ჩვენივე ნაზარდი და ნაღოლიავები. ახლა სპორტის ორი სახეობა მაინც უნდა გავწიროთ, რომ ერთი გადავარჩინოთ. თვით ცხოვრებამ დაგვაყენა მწარე ალტერნატივის წინაშე.

მრახლოებულ საშიშროებას ადრეც ვხედავდით. ორი წლის წინათ პირველი მტკივნეული დარტყმა ვიგემეთ — ფესვებგადგმული და ტრადიციამყარი სპორტის სახეობები მართალია, პირობითად, მაგრამ მაინც, სტრატეგიულ და არასტრატეგიულ სახეობებად დავყავით. ერთი სიტყვით, ყანა გლეხის რუდუნებით გამოვხშირეთ. სხვა გამოსავალი ნამდვილად არ იყო. ახლა კი უარეს დღეში ჩავვარდით. ამბობენ კაპიტალიზმს ცრემლების არ სჯერაო. ყველაფერს ფინანსები წყვეტს, კაპიტალიზმი უფულოებს არ ინდობს, თუმცა ფულის კეთების, ნიჭისა და უნარის სრულად გამოვლენის შესაძლებლობას გულუხვად იძლევა. მაგრამ რა უნდა იღონონ ფინანსურად უმწეო სპორტულმა ფედერაციებმა? რა შეუძლიათ მათ? არაფერი, უკეთეს შემთხვევაში, თითქმის არაფერი. სპორტული ფედერაცია ვერანაირად ვერ მოერგო საბაზრო ეკონომიკას, ვერც მოერგებოდა, რადგან მისი „პროდუქცია“ სულ სხვა მიზან-დანიშნულებისაა, მაშ რა ვქნათ? სახელმწიფო საბოლოო ჯამში სპორტისათვის დღეს იმდენს იძლევა, დიდი დიდი, მსოფლიო სპორტულ რუკაზე ჩვენს თუნდაც პირობით შენარჩუნებას რომ გაწვდეს. სიტყვამ მოიტანა — ბევრ ფედერაციას გაისად ალბათ ვეღარ ვახილავთ საერთაშორისო თანამგობრობაში. თუნდაც იმიტომ, რომ საწევროს ვერ გადაიხდიან. გაისად სპორტის ბევრ სახეობას შინაც გამოვემშვიდობებით, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო ხელს დაიბანს მათი დაფინანსებისაგან.

გასაგებია, რამდენად მძიმე იყო ჩვენი სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ კახი ასათიანს ერთ-ერთ ინტერვიუში ეთქვა: „უკეთესი მომავლის იმედით უნდა შემოვიჭიროთ ქამრები. გადავწყვიტეთ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები მოვახმაროთ 10-12 სპორტის სახეობის განვითარებას. ესენი სახეობები იქნება, რომლებშიც გამოდიან ოლიმპიური თამაშების დღევანდელი კანდიდატები“.

სპორტის დეპარტამენტმა ამ წლის ბოლომდე შეაჩერებინა ხელისუფლებას სპორტული ობიექტების პრივატიზება. ფედერაციებს ვინ მისცა მათი გამოსასყიდი თანხა. ერთადერთია მძლეოსნობის ფედერაცია, რომელსაც საერთაშორისო ფედერაციამ გამოუყო თანხა ვაკეში მძლეოსნური მანეჟის გამოსასყიდად.

ასეთია სიტუაცია. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ მაღალი კლასის სპორტსმენები და გამოცდილი სპეციალისტები უცხოეთში მიდიან. ზოგი არსადაც არ მიდის, მაგრამ თავს ანებებს სპორტს, უკეთეს საარსებო წყაროს დაეძებს.

იქნებ სწორედ ასეთ დროს გვმართებს მეტი სითამამე, ახალ საფინანსო წლამდე ბევრი დრო აღარ დარჩა. იქნებ დროულად დადგინდეს, სპორტის რომელ სახეობებს ვეღარ დააფინანსებს სახელმწიფო, რომ მათმა მესვეურებმა და გულშემატკივრებმა თადარიგი დაიჭირონ. შესაძლებელია გამოჩნდეს კიდეც ფირმა თუ კლუბი, რომელიც ვალდებულებით უპატრონებს სპორტის ამა თუ იმ სახეობას, სტანდარტული მიდგომით პრობლემა არ გადაიჭრება.

მსხვერპლს ვერ ავცდებით, მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ გადავარჩინოთ რისი გადარჩენაც შეიძლება, მსხვერპლიც არის და მსხვერპლიც.

ნახევარი გუნდი — ეედლებით

ქაირო ში (ეგვიპტე) დამთავრდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა (1974-76 წწ დაბადებულნი) მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველო ექვსი ათლეტით ასპარეზობდა. მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლები დაისაკუთრეს: 60 კგ წონაში — გიორგი ვაზაგაშვილმა (გორი, კლუბი „დილა“), 65 კგ წონაში — გიორგი რევაზიშვილმა (საგარეჯო, „რაინდები“). 86 კგ. წონაში — ივერი ჯიქურაულმა (დუშეთი, „ფალავანი“) მეორე სპრიზო ადგილი დაიკავა. რამაზ ჩოჩიშვილი — (95 კგ. გორის „დილა“), ლევან ციგრიაშვილი (78 კგ. თბილისი, „ფალავანი“) და ალექსანდრე დავითაშვილი (+95, ახმეტა, „რაინდები“) პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ექვსეულმა III ადგილი დაიკავა სამხრეთ კორეისა და რუსეთის სრული გუნდების შემდეგ. ჩემპიონატში მონაწილეობდა 73 ქვეყანა.

აირჩიეს დავით გობეჯიშვილი

გაიმართა ჰიდაობის ფედერაციის პლენუმი. ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი. 6 ნოემბერი, XI ტური

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2-0
„გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (ბათუმი) 0-0
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 0-2
„დილა“ (გორი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2-1
„ივერია“ (ხაშური) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 2-3
„მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ (თბილისი) 1-4
„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1-0
— „დინამო“ (ზუგდიდი) — „კახეთი“ (თელავი).
თელაველები მატჩზე არ გამოცხადდნენ.

პირველი, პირველმა, პირველად...

ნინო დუმბაძე

სიზუსტე მაინც უმჯობესია

ნიკოლაი მაკარაცევს, საკმაოდ საინტერესო და ყოვლისმომცველ სტატისტიკურ კრებულში „საბჭოთა სპორტის ისტორიის ფურცლები“ (გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტი“, მოსკოვი, 1967 წ), მსოფლიოს რეკორდებისადმი მიძღვნილ თავში ნათქვამი აქვს: „1946 წლის შემოდგომაზე ძალოსანი გრიგორი ნოვაკი და მძლეოსანი ნინო დუმბაძე, თითქმის ერთდროულად, შეიყვანეს მსოფლიოს რეკორდსმენთა ოფიციალურ სიაში. მათმა მსოფლიო რეკორდებმა საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა სპორტის უმაღლეს მიღწევებს“.

ამ სიტყვებში ყველაფერი სწორია, ოღონდ ზოგი დეტალი განმარტებასა და დაზუსტებას საჭიროებს:

ცნობარში „მძლეოსნობა“ (მოსკოვი, „ფიზკულტურა ი სპორტი“, 1983 წ.) ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ნინო დუმბაძე მსოფლიოს რეკორდების ცხრილში სამჯერაა მოხსენიებული. არადა, ჩვენთვის ცნობილია, რომ დუმბაძეს არაერთხელ აქვს ნაჩვენები მსოფლიოს რეკორდებზე უკეთესი შედეგი. მძლეოსნობის ბრწყინვალე სპეციალისტი, განსვენებული ლევან (ლელიკო) გიორგაძე თავის კაპიტალურ

იხ. მე-2 გვერდი

საქართველოს IV ჩემპიონატი კალათბურთში

კაცები
I წრის I ტური.

თბილისი. ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლე.

„ვითა“ — „შევარდენი“ 114:47, „თბილისი“ — „მერანი“ 77:67, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — „კაჭუსი“ 51:104, „თბილისი“ — „აზოტი“ (რუსთავი) 84:82, „ვითა“ — „თორსი“ 118:42, „მერანი“ — „კაჭუსი“ 61:93, „აზოტი“ — თსუ 81:71, „თბილისი“ — „კაჭუსი“ 61:89, „თბილისი“ — თსუ 81:65. გუშინ: „დინამო“ — „ვითა“ 78:88.

სიზუსტე მაინც უმჯობესია

დასაწყისი 1-ელ გვერდზე.

ნაშრომში „საქართველოს რეკორდები მძლეოსნობაში“ წერდა: „12-ჯერ გაუმჯობესა ნინო დუმბაძემ თავისი სპორტული მოღვაწეობის დროს საბჭოთა კავშირის რეკორდები. 1939 წელს მან შედეგით — 49,11 მ. გადააჭარბა მსოფლიოს რეკორდს (48,31 მ) და ამის შემდეგ 34-ჯერ ტყორცნა ბადრო მსოფლიოს რეკორდის ნიშნულის იქით“.

ჯერ ერთი განმარტება ამ ცნობასთან დაკავშირებით. საქართველოს რეკორდი ბადროს ტყორცნაში პირველად რეგისტრირებულია 1928 წელს. რეკორდსმენი გახლავთ თბილისელი კლავდია ოვსიანიკოვა. თავად შედეგი სასაცილოზე უფრო დაბალი იყო — 18,33 მ. ერთი წლის შემდეგ მეორე თბილისელმა ჰერტრუდა მაიერმა რუსეთელიკური რეკორდი უფრო სოლიდურ დონემდე აიყვანა (26,50 მ). ამის შემდეგ მაიერმა კიდევ ხუთჯერ გადააჭარბა რეკორდს. მისი ბოლო მიღწევა, 1937 წელს ნაჩვენები, 37,10 მ უდრიდა.

1938 წელს თბილისში საცხოვრებლად ჩამოვიდა ჩვენი ოდესელი თანამემამულე ნინო დუმბაძე. მძლეოსნობაში მეცადინეობა მან 16 წლისამ დაიწყო. ჰქონდა საკმაოდ კარგი მანვენებლები (ცხადია, იმ დროისათვის) სიმაღლეზე (140 სმ) და სიგრძეზე (4,80 მ) ხტომებში. 1936 წელს დუმბაძემ დაამყარა საკავშირო რეკორდი ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში (2,60 მ). შემდეგ ფეხის მძიმე ტრავმის გამო თავი მიანება ხტომებსა და რბენას, მთლიანად ბადროს ტყორცნაზე გადაინაცვლა.

1938 წელსვე დუმბაძემ რესპუბლიკური რეკორდი ჩამოართვა მანამდე უძლეველ ჰერტრუდა მაიერს (შემდგომში იგი ყაზახეთში გადავიდა საცხოვრებლად და იქ დამსახურებული მწვრთნელი გახდა) და აჩვენა შედეგი (47,33 მ), რომელიც საკავშირო რეკორდზე უკეთესი იყო. ერთი წლის შემდეგ დუმბაძის მიერ ნატყორცნმა ბადრომ გადაუფრინა გერმანელი გიზელა მაუერმაიერის ოფიციალურ მსოფლიოს რეკორდს (48,31 მ) და დაეცა 49,11 მ. ნიშნულთან. იმავე წელს დუმბაძემ კიდევ ერთი სარეკორდო შედეგი აჩვენა — 49,54 მ. 1944 და 1946 წლებში ქართველმა მძლეოსანმა კიდევ ორჯერ გადააჭარბა მსოფლიოს რეკორდებს (შესაბამისად 49,88 მ და 50,50 მ), მაგრამ ოფიციალური აღიარება ვერც მათ მიიღეს.

რეკორდების ცხრილში ნინო დუმბაძე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ოფიციალურად სამჯერაა დასახელებული: 1948 წლის 8 აგვისტოს (მოსკოვი, 53,25 მ), 1951 წლის 27 მაისს (გორი, 53,37 მ) და 1952 წლის 18 ოქტომბერს (თბილისი, 57,04 მ).

ნ.მაკარეევის ცნობა დუმბაძის მსოფლიო რეკორდის შესახებ ემყარება 1946 წლის ევროპის III ჩემპიონატის (ოსლო, ნორვეგია) მონაცემებს, უფრო სწორად, ჩემპიონატის შემდგომ გამოსვლას. თავად ჩემპიონატი ქართველმა მძლეოსანმა მოიგო შედეგით (44,52), რომელიც ჩამორჩებოდა მსოფლიოს რეკორდს. ეს მოხდა 23 აგვისტოს. ორიოდე დღის შემდეგ კი საბჭოთა სპორტსმენების ერთი ჯგუფი, მათ შორის ნინო დუმბაძეც გაემგზავრა ნორვეგიის პროვინციულ ქალაქ სარპსბორგში, სადაც ყველა საერთაშორისო ნორმატივის დაცვით მსოფლიოს რეკორდზე უკეთესი შედეგი უჩვენა — 50,50 მ. შეგახსენებთ, ამ დროისათვის მაუერმაიერის რეკორდი 48,31 მ იყო. მაგრამ ქართველი მძლეოსნის შედეგის ოფიციალურ მსოფლიოს რეკორდად გაფორმება არ შეიძლებოდა იმის გამო, რომ სსრკ მძლეოსნობის სექცია იმ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ იყო საერთაშორისო ფედერაციის წევრი, რაც რეკორდების რეგისტრაციისთვის აუცილებელი პირობა გახლდათ (საერთაშორისო ფედერაციაში სსრკ გაფორმდა მხოლოდ 1947 წელს). ასე რომ, მაკარეევს, როცა დუმბაძისა და ნოვაკის მაჩვენებლებზე ლაპარაკობს, მცირედი უზუსტობა აქვს დაშვებული, ოღონდ ჩვენს სასარგებლოდ (რაც საბჭოთა სპორტული ლიტერატურის ისტორიისთვის უმაგალითო შემთხვევაა, პირიქით კი ხშირად მომხდარა).

რაც შეეხება გრიგორი ნოვაკს, ინფორმაცია მის შესახებ სავსებით სარწმუნოა. 1946 წლის 19 ოქტომბერს პარიზში (სსრკ ძალოსნობის სექცია ამ დროისთვის უკვე არის საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში შესული) ნოვაკმა ორი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ქვემძიმე წონის (82,5 კგ) ათლეტთათვის. ატაცში მან 130 კგ აჩვენა (ძველი რეკორდი — 125 კგ ეკუთვნოდა ფრანგ ანრი ფერარის და დამყარებული იყო 1945 წლის 1 დეკემბერს იქვე, პარიზში), სამჭიდის ჯამში კი 425 კგ (გაუმჯობესა ამერიკელ ჯონ დევისის შვიდი წლისწინანდელი რეკორდი მთელი 22 კილოგრამით). სხვათა შორის, გრიგორი ნოვაკი პირველია საბჭოთა კავშირის სპორტსმენებში (და არა მარტო ძალოსნებში), ვინც დაიმსახურა მსოფლიოს ჩემპიონის უმაღლესი ტიტული. პარიზში ნოვაკის გარდა ჩემპიონის ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ: ქვემსუბუქ წონაში შვედი არვიდ ანდერსონი (320 კგ), მსუბუქში — ამერიკელი სტენლი სტანჩიკი (367,5 კგ), საშუალოში — ეგვიპტელი კხადრ ელ-ტოუნი (377,5 კგ) და მძიმეში — ამერიკელი ჯონ დევისი (435 კგ).

და კიდევ ერთი ინფორმაცია ქართული სპორტის სტატისტიკის მოყვარულთათვის. იმავე ჩემპიონატზე პარიზში ასპარეზობდა ორი ათლეტი საქართველოდან. ისინი, ბუნებრივია, სსრკ ნაკრების ღირსებას იცავდნენ. ერთმა მათგანმა, მოისე კასიანიკმა ქვემსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა შედეგით 310 კგ. (95+95+120), მეორემ — ვლადიმერ სვეტილკომ კი ვერცხლის მედალი მიიღო მსუბუქ წონაში — 347,5 კგ (105+105+137,5). ბუნებრივია, კასიანიკი საქართველოს სპორტსმენთა შორის პირველია, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მიეღო, სვეტილკო კი ასევე პირველი ვერცხლის მედალოსანია...

რა ხდება ქვეყანაზე

● ფილიპინელ ექიმ-ნეკროლოგ-ანატომ და ტულეარის მინისტრმა ტიტი ისობრკანა-სუნუმამ ლონდონში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს საზეიმო ვითარებაში გადასცეს ლეგენდარული ფინელი სტაიერის პაავო ნურმის ქანდაკება, რომელიც გამოიფინება „ოლიმპიურ მუზეუმში. ფინეთის პრემიერმა თავის სიტყვაში „მაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სოკი ხშირად ატარებს პუმანიტარულ აქციებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. თავის მხრივ, ნურმის ეაეიმეილმა მატიმ პირადად სამარანჩს აჩუქა შაბის მინიატურული ქანდაკება.

● ნოემბრის შუა რიცხვებში ამშტ-ს საკაბელო ტელევიზიის სი-ენ-ნის მოამზადებლები ნახავენ ფიგურულ სრიალში საერთაშორისო გუნდური შეჯიბრების რეპორტაჟს, რომელსაც რატომღაც „ყინულის ომი“ ეწოდა. ერთი გუნდი მთლიანად ამერიკელი ფიგურისტებით იქნება დაკომპლექტებული ბრაიან ბოიტანოსა და ნენსი კერიგანის მეთაურობით. მეორე ინტერნაციონალურ გუნდში კი გაერთიანდებიან ისეთი სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, როგორიც არიან: გერმანელი კატარინა ვიტი, კანადელი კურტ ბრაუნინგი, უკრაინელი ოქსანა ბაიული, ვიქტორ პეტრენკო და სხვ.

● ოქსფორდის უნივერსიტეტის ნიჩბოსანთა კლუბის უფროს მწვრთნელად დაინიშნა დენ ტაპოლსკი. ადრე, 1967-68 წლებში იგი აღნიშნული უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა, მერე კი მთელი ათი წლის მანძილზე (1976-85 წ.წ) ავარჯიშებდა ოქსფორდელთა გუნდს, რომელმაც ზედიზედ ათჯერ დაამარცხა თავისი მუდმივი მეტოქე, კემბრიჯის უნივერსიტეტის ნაკრები. 1987 წელს მან მიატოვა თავისი აგრერიგად მოვლილი და ნაპატრონები გუნდი, რომელსაც 7 წლის შემდეგ მაინც დაუბრუნდა.

● საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა რუანდის ლტოლვილთა ერთ-ერთ ბანაკს პუმანიტარული დახმარების სახით გაუგზავნა 110 ტონა ტვირთი — უმთავრესად რძე და ბურღულეული. ეს პროდუქტები, რომლის ტრანსპორტირებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ძირითადად ბავშვებისათვის არის განკუთვნილი.

● „ნაიკისა“ და „რიბოკის“ საქვეყნოდ ცნობილი სპორტნაწარმების ფირმების კონკურენციამ საკმაოდ მკაფიოდ იჩინა თავი კალიფორნიაში, მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკა-სთან მიმართებაში. ამ დავაში ჯერჯერობით დანინაურებულია „რიბოკი“, რომელიც შეფობს „დინამოს“. ფირმა ყოველი მატჩის წინ მაჯურებლებს ურიგებს თავის მაისურებს გუნდის ყველა წევრის ავტოგრაფით. „ნაიკი“ კი არმიელი გულშემატკივრებისთვის მხოლოდ ქუდებს იმეტებს. თანაც ავტოგრაფების საქმე თავად დასაჩუქრებულებმა უნდა მოაგვარონ.



პირველობა, ტურნირები, მასობრივი შეჯიბრებები

სამგო

ჭაბუკთა შინაურ ასპარეზობებს, მოგეხსენებათ, ძირითადად ახლობლები და ნათესავები ადევნებენ თვალს. გულმხურვალედაც ქომაგობენ ნორჩ სპორტსმენებს, მაგრამ ვის დაუჭიროს მხარი მშობელმა, როდესაც მისი შვილები, თანაც ტყუპები ფინალში ასპარეზობენ... ერთმანეთის წინააღმდეგ? სწორედ ასე იყო ახლახან თბილისში დამთავრებულ საქართველოს პირველობაზე სამბოში უმაროსი ასაკის (1978-1980 წწ დაბადებულები) ჭაბუკებს შორის. მძიმეწონოსანთა ფინალში გამოდიოდნენ ტყუპები იუზა და ალეკო ბოლქვაძეები, სადაც ალეკომ იმარჯვა და ქუდებით დაამარცხა ძმა. საქართველოს სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ კუჩიანიძე ამ ტყუპებს ჩვენმა ფედერაციამ მიანიჭა ჭაბუკებში მსოფლიოს ორგზის გამარჯვებულის, ტრაგიკულად დაღუპულ მიშიკო აბაშიძის სახელი.

შეჯიბრებაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 300-ზე მეტმა მონაწილემ მოიყარა თავი, რასაც სიმართლე გითხრათ, არ ველოდით.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 29 კგ. 6. ხატიაშვილი, 32, ვ. ბერუაშვილი, (ორივე — რუსთავი), 35. გ. ბერიანიძე (ყვარელი). 38. თ. ნეფარიძე (ქუთაისი), 41. დ. მარგოშვილი, 44. ლ. მარგიანი, 47, ე. სარდანაშვილი (სამივე — თბილისი), 50. გ. ნანიაშვილი (დუშეთი), 53. ხ. ყურავა (რუსთავი), 56. გ. ბარათაშვილი (ხაშური), 60. ი. გოგიშვილი (ქარელი), 64. ლ. რობაქიძე (თბილისი), 68. დ. პაპაშვილი (დუშეთი), 73. გ. ჯოხაძე, 78. გ. ჩადუნელი — მძიმე, ა. ბოლქვაძე (სამივე — თბილისი).

კარატე

კარატე „ინკიკან“-ის საქართველოს ფილიალი პირველობა მოზარდთა შორის ქ. თელავის სპორტულმა კლუბმა „აშიგარუმ“ ჩაატარა ამ ქალაქში. თბილისის, ბათუმის, რუსთავისა და თელავის წარმომადგენლებთან ერთად სარბიელზე გამოვიდნენ საგურამოელი ჭაბუკები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ კარატე მხოლოდ ქალაქების „საკუთრება“ არ არის. გთავაზობთ ასაკობრივ ჯგუფებში ფინალური შეხვედრების შედეგებს: I ჯგუფი: 1. დ. ჭიკაძე (თელავი), 2. გიორგი უნდილაშვილი (საგურამო); II. 1. ბ. ბოთნიაშვილი (საგურამო), 2. ბ. დარჩიაშვილი; III: 1. გ. პონომარიოვი, 2. ა. გორგასლიძე; IV. 1. მ. ქობალია, 2. ვ. ამბოკაძე; V: 1. დ. გეჯაძე (ყველა — თბილისი), 2. გელა უნდილაშვილი (საგურამო).

ირაკლი დოლაბერიძე

ფეხბურთი

საფეხბურთო კლუბ „სიხარულის“ თაოსნობით ჩატარდა ხაზა ქუმბურიის ხსოვნის ტურნირი 1983 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა შორის. ექვს გუნდში უძლიერესის სახელი და პრიზი დაიმსახურა „იბერიამ“. მეორე ადგილზე გავიდა „სიხარული-93“, მესამეზე — „ამიკო“. საუკეთესო ფეხბურთელებს გადაეცათ ჯილდოები.

უპომპრომისო ბრძოლებით აღინიშნა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ჩემპიონატის დასკვნითი შეხვედრები, რომელსაც ბორის პაიჭაძის ეროვნული სტადიონი მასპინძლობდა. ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ისნისა და გლდანის რაიონების განყოფილებების გუნდები. 50-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა (ტაიმი — 26-25 წუთი) პირველთა გაბარჯვებით (2:0). მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა მთაწმინდის რაიგანყოფილების კოლექტივს.

საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა გლდანის გუნდის წევრმა დავით ჯიშკარიანმა. პრიზიორი გუნდების მოთამაშეები შეხვაბამისი ხარისხის დიპლომებთან ერთად დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებითა და ფულადი ჯილდოთი.

მძლეოსნობა

ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი და მასობრივი საშუალება, რითაც შეიძლება პერიოდულად მაინც გამოცოცხლდეს საუნივერსიტეტო სპორტული ცხოვრება, არის მძლეოსნური კროსები: ერთი, ორი თუ სამი კილომეტრის დაძლევა ხომ პრაქტიკულად ყველა ახალგაზრდას უნდა შეეძლოს.

ძალიან კარგი საქმე გააკეთა საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ (თავმჯდომარე გიგი მძღეური), რომ თავის ყოველწლიურ კალენდარში შეიტანა მძლეოსნური კროსი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა შორის. იგი 29 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელობამ, გულისხმიერად გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სწორედ ამ დღეს ტარდებოდა მასობრივი კროსი ობოლი და ინვალიდი ბავშვების დასახმარებლად („საქართველო — ბავშვებისათვის“) და თავისი ასპარეზობა მეორე დღისათვის, 30 ოქტომბერს გადაიტანა.

ვაკის პარკში 120 მონაწილე შეგროვდა. მათი რიცხვი შეიძლება გაცილებით მეტი ყოფილიყო, მაგრამ რეგიონებში მდებარე უმაღლეს სასწავლებლებიდან ძალიან ცოტას თუ აქვს იმდენი თანხა, რომ გუნდი თბილისში გამოაგზავნოს. მაგალითად, ამ მიზეზით, ასპარეზობაზე ვერ ვიხილეთ კროსების მუდმივი მონაწილე თელავის I პედაგოგიური ინსტიტუტის კროსმენთა გუნდი.

გარდა ამისა, ალბათ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ სოკოებივით მომრავლებული კერძო უმაღლეს სასწავლებელთაგან არც ერთმა არ გამოიყვანა გუნდი. ეგონებთ, ფიზიკური კულტურა ისეთივე შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს სასწავლო პროცესისა, როგორც სხვა საგნები. ჩვენი თუ არა, უცხოელთა მაგალითს მაინც დაეყრდნონ, რომელთა ცუდი მიბაძვით შეიქმნა კერძო სასწავლებლები.

ვაკის პარკში კი სტარტზე 7 უმაღლესის გუნდი გამოვიდა.

I ჯგუფში გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ფიზიკულტურის აკადემია; 2. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტი; 3. სამედიცინო უნივერსიტეტი.

II ჯგუფი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი; 2. უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტი; მესამე მონაწილე არ იყო.

1000 მეტრზე უძლიერესი იყო ეკა შამშელიძე (ფიზიკულტურის აკადემია), 2000 — დოდო ქავთარაძე (თბილისის უნივერსიტეტი), 3000 — მამუკა მაღლაკელიძე (ფიზიკულტურის აკადემია), 5000 — ალექსანდრე საინოვი (ფიზიკულტურის აკადემია).

გარი კასპაროვი: როგორია ჭადრაკის მომავალი!

ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვია, ზოგნი ამ წოდების მფლობელად ანატოლი კარპოვს მიიჩნევენ, თუმცა მსოფლიოს №1 მოჭადრაკედ... კასპაროვს აღიარებენ. ერთი სიტყვით, საჭადრაკო პრესაში ბევრ რამეს წაიკითხავთ კასპაროვის თაობაზე. ამ მხრივ ყველა უფრო საინტერესო მაინც პირადად ამ მოჭადრაკის აზრებია. გთავაზობთ ნაწყვეტებს მის ერთ-ერთ ინტერვიუდან.

● ჩვენ საკმაოდ საფუძვლიანად შეგვაჩვიეს იმას, რომ არსებობს ორი სამყარო (თუმცა, შემდეგ მესამე გაჩნდა), ორი სისტემა, ორი იდეოლოგია, დაბოლოს, ცხოვრების ორნაირი წესი. ახლა მსოფლიოში ორი ჩემპიონი გაჩნდა. ხომ არ მოგაჩნიათ საჭიროდ, გამეორდეს ძველი ექსპერიმენტი, როცა პირველად და უკანასკნელად — მიხეილ ბოტვინიკის ინტერესების შესაბამისად — მოეწყო მატჩ-ტურნირი საბჭოთა კავშირის აბსოლუტურ პირველობაზე?

— მსოფლიოს ორი ჩემპიონი მხოლოდ რუსეთისთვის არსებობს, მსოფლიოში კი ასეთი შეხება საერთოდ არ არის. მსოფლიო მხოლოდ ერთ ჩემპიონს აღიარებს. ჩემი მატჩი კარპოვთან შეიძლება ძალიან საინტერესოც კი იყოს, მაგრამ როგორი იქნება მისადმი, ვთქვათ, ანანდის, ივანჩუკის, კრამნიკის დამოკიდებულება? კარპოვი ხომ შეხვდა პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში შორტს და დამარცხდა. ჩემი აზრით, თუ კარპოვს კვლავ სურს ჩემთან შეხვედრა, ეს უფლება ჯერ შესარჩევ შეჯიბრებებში უნდა მოიპოვოს. ლაპარაკი მასზე, როგორც ჩემთან შესახვედრად №1 პრეტენდენტზე, უსაფუძვლოა. ასეთ დიდოსტატს მხოლოდ მატჩების სერია გამოავლენს. მიმაჩნია, რომ კარპოვის შესაძლებლობები ახალგაზრდა დიდოსტატებთან მკაცრ შესარჩევ შეჯიბრებებში მაინცდამაინც დიდი არ არის, თუმცა ასეთი შესაძლებლობები, რა თქმა უნდა, არსებობს. რაც შეეხება ფიდეს ციკლს, იგი, ჩემი აზრით, განწირული და უიმედოა. თუკი კარპოვს უნდა იყოს მსოფლიო ჩემპიონი მოყვარულთა შორის, ღმერთმა ხელი მოუმართოს (ომამდე ასეთი წოდება არსებობდა, მსოფლიო ჩემპიონები მოყვარულთა შორის იყვნენ მატიასონი, ბოგოლიუბოვი და ალიოხინთან მატჩის მოგებამდე — ეივეკ).

● დიახ, მაგრამ თქვენ მაინც ხომ მოგიხდებათ ფიდესთან ურთიერთობა, ვთქვათ, როგორც რუსეთის ნაკრების ლიდერს მსოფლიო ოლიმპიადაზე?

— რთული საკითხია, მაგრამ ვფიქრობ, რომ საბოლოო ანგარიშით შეთანხმება პროფესიულ საჭადრაკო ასოციაციასა და ფიდეს შორის მაინც აუცილებელია. მაგრამ ამაზე და ფიდეს აზრზე.. ჩვენ ჩვენი პრობლემები გვაქვს — ტურნირების მოწყობა, თანაც რაც შეიძლება კარგად. გვინდა საინანდო თანხების შეკრება, რათა ჭადრაკმა ქვეყანაზე ღირსეული ადგილი დაიკავოს.

● თქვენი და შორტის მატჩის კომერციულ შედეგებს ინგლისურ პრესაში სხვადასხვანაირ შეფასებას აძლევენ.

— იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ჩვენ დავაარსეთ, შეიძლება ვიკამათოთ, მაგრამ არსებობს სულ უბრალო კრიტერიუმი: თუკი შეეჭვნეთ საჭირო თანხების მოგროვება ჩვენი ღონისძიებების გასამართავად, თუკი ჭადრაკი პროფესიული გავხადეთ და ტელევიზიაშიც სათანადო ადგილი მოვუპოვეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლისუნარიანნი ვართ და ამ მხრივ ყოველგვარი კამათი უაზრობაა. რა თქმა უნდა, ბევრი რამის გაკეთება სხვანაირადაც შეიძლებოდა, უკეთესადაც, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია ახალგაზრდაა და მის პირველ ნაბიჯებს ფიდე სასტიკად აკრიტიკებდა.

ჩვენ არ ვაპირებთ ფიდეს შეცვლას. ხომ არსებობს, მაგალითად, ჩოგბურთში სამყოვარულო ფედერაცია და მკაცრი პროფესიული გაერთიანება. ფუნქციები უნდა გავინაწილოთ. ვფიქრობთ, ადრე თუ გვიან, ფიდეს ახლანდელი ან მომავალი ხელმძღვანელობა ამ აზრამდე მივა ისევე, როგორც, ბოლოს და ბოლოს ჩოგბურთელები შეთანხმდნენ. ფიდეს მცდელობა კონკურენცია გაეწია ჩვენთვის პროფესიული შეჯიბრებების მოწყობის სფეროში, სრული მარცხით დამთავრდა.

● **დღეისათვის ყველას რიდი აქვს ნათელ წარმოდგენა იმაზე, თუ ვისა აქვს უფლება თქვენი ასოციაციის წევრი გახდეს. საერთოდ, ვინ უნდა ითვლებოდეს საჭადრაკო პროფესიონალად?**

— ესენია გრონინგენში გამართული ჩვენი ასოციაციის შესარჩევი ტურნირის მონაწილეები (დაახლოებით 50 დიდოსტატი), ისინიც, ვინც ჩვენს შეჯიბრებებში შემდგომში ითამაშებს. ერთი სიტყვით, თუ არსებითად ვიმსჯელებთ, ჩვენთან არის თანამედროვეობის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე.

● ასე რომ, მალე თქვენი ახალი მეტოქე გამოვლინდება.

— პრეტენდენტს, მაშინაც კი, როცა მთელი შერჩევითი ციკლი გაიარა, უკვე სულ სხვაგვარი წინააღმდეგობა ხვდება. მსოფლიო ჩემპიონს, თუკი იგი ძალების გაფურჩქნის პერიოდშია, უნარი აქვს ნაკლები „დარტყმები“ მიიღოს, მან იცის საკუთარი თავის დაცვა. მაშინაც კი, როცა პრეტენდენტი წინასწარ გაფრთხილებულია „სულ სხვაგვარი ჭადრაკის“ შესახებ, მას ადრე გაუთვალისწინებელი განსაცდელი მოელის. ასეთ დროს ნერვების დაოკება ძალიან ძნელია. მახსოვს, კარპოვთან პირველი მატჩის დროს მუდამ ამაზე ვფიქრობდი: რატომ ვერ ვიგებ მოსაგებ პოზიციებს? აი, საქმე თურმე რაში იყო. თუკი მსოფლიოს ჩემპიონს ისე შეუძლია წარმართოს ბრძოლა, რომ პრეტენდენტი აიძულოს სისტემატიურად გასწიოს რისკი, მაშინ გასაგებია, თუ როგორ დამთავრდება ასეთი მატჩი.

მოამზადა
გივი თორელმა.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

გაიმარ... ...ი ევროპის საკლუბო ტურნირების მეორეული ეტაპის შეხვედრები.

ჩემპიონთა ლიგა

„A“ ჯგუფი

„გალათასარაი“ (თურქეთი) — „გეტებორგი“ (შვეცია) 0-1

„ბარსელონა“ (ესპანეთი) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) 4-0

	თ.	მ.	ფ.	ნ.	ბ.	ქ.
„გეტებორგი“	4	3	0	1	6-5	6
„ბარსელონა“	4	2	1	1	9-5	5
„მანჩ.იუნაიტ“.	4	1	2	1	6-8	4
„გალათასარაი“	4	0	1	3	1-4	1

„B“ ჯგუფი

„პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) — „დინამო“ (კიევი, უკრაინა) 1-0

„ბაიერნი“ (გერმანია) — „სპარტაკი“ (მოსკოვი, რუსეთი) 2-2

„პარი-სენ-ჟერმენი“	4	4	0	0	7-2	8
„ბაიერნი“	4	1	2	1	4-5	4
„სპარტაკი“	4	0	2	2	6-8	2
„დინამო“	4	1	0	3	4-6	2

„C“ ჯგუფი

„ანდერლეხტი“ (ბელგია) — „პაიდუკი“ (ხორვატია) 0-0

„სტიაუა“ (რუმინეთი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია) 1-1

„ბენფიკა“	4	2	2	0	6-3	6
„პაიდუკი“	4	2	2	0	3-1	6
„სტიაუა“	4	0	2	2	2-4	2
„ანდერლეხტი“	4	0	2	2	2-5	2

„D“ ჯგუფი

„აიაქსი“ (პოლანდია) — „კაზინო“ (ავსტრია) 1-1

„მილანი“ (იტალია) — აეკ (სოფია, ბულგარეთი) 2-1

„აიაქსი“	4	2	2	0	5-2	6
„მილანი“	4	2	1	1	5-3	3
„კაზინო“	4	1	1	2	1-4	3
აეკ	4	0	2	2	2-4	2

თასების მფლობელთა თასი
მერვედფინალის საპასუხო მატჩები

„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „ბრიუგე“ (ბელგია) 0-0 (0-1)

„ვერდერი“ (გერმანია) — „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) 3-4 (0-1)

„აუსტრია“ (ავსტრია) — „ჩელსი“ (ინგლისი) 1-1 (0-0)

„პარსანელი“ (ინგლისი) — „ბრონდბიუ“ (დანია) 2-2 (2-1)

„სარაგოსა“ (ესპანეთი) — „ტატრანი“ (სლოვაკეთი) 2-1 (4-0)

„გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „სამპდორია“ (იტალია) 3-2 (0-3)

„ფერენცვაროში“ (უნგრეთი) — „პორტუ“ (პორტუგალია) 2-0 (0-6)

„ლესერი“ (საფრანგეთი) — „ბეშიქთაში“ (თურქეთი) 2-0 (2-2)

უეფას თასი
მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები

„იუვენტუსი“ (იტალია) — „მარიტიმუ“ (პორტუგალია) 2-1 (0-1)

„კანი“ (საფრანგეთი) — „ადმირა“ (ავსტრია) 2-4 (1-1)

„ოდენსე“ (დანია) — „კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია) 0-0 (1-1)

„პინტარსტი“ (გერმანია) — „რაპიდი“ (რუმინეთი) 5-0 (1-2)

„ატლეტიკი“ (ესპანეთი) — „ნიუკასლი“ (ინგლისი) 1-0 (2-3)

„ტექსტილშჩიკი“ (რუსეთი) — „ნანტი“ (საფრანგეთი) 1-2 (0-2)

„ნაპოლი“ (იტალია) — „ბოავიშტა“ (პორტუგალია) 2-1 (1-1)

„ლაციო“ (იტალია) — „ტრელებორგსი“ (შვეცია) 1-0 (0-0)

„ბორუსია“ (გერმანია) — „სლოვანი“ (სლოვაკეთი) 3-0 (1-2)

„რეალი“ (მად. ესპანეთი) — „დინამო“ (მოს. რუსეთი) 4-0 (2-2)

„პარმა“ (იტალია) — აიკ (შვეცია) 2-0 (1-0)

„ასტონ ვილა“ (ინგლისი) — „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი) 2-1 (0-1)

„ლა-კორუნია“ (ესპანეთი) — „ტიროლი“ (ავსტრია) 4-0 (0-2)

„მარსელი“ (საფრანგეთი) — „სიონი“ (შვეიცარია) 3-1 (0-2)

„ბორდო“ (საფრანგეთი) — „გაბს (პოლონეთი) 1-1 (0-1)

„ლევერკუზენი“ (გერმანია) — „პონვედი“ (უნგრეთი) 5-0 (2-0)

შენიშვნა: ხაზგასმულია შემდგომ ეტაპზე გასული გუნდები. ფრჩხილებში მითითებულია პირველ შეხვედრათა შედეგები.

წილისყრა

უეფას თასის მერვედფინალში წილისყრამ შემდეგნაირად დააწყვილა მეტოქეები:

„ტრაბზონსპორი“ — „ლაციო“, „იუვენტუსი“ — „ადმირა“, „ბაიერი“ — გაბ,

„პინტრასტი“ — „ნაპოლი“, „ლა კორუნია“ — „ბორუსია“, „ნანტი“ — „სიონი“, „ოდენსე“ — „რეალი“, „ატლეტიკი“ — „პარმა“.

ვეტერანის ღვაწლის დაფასება

ბ.პაიჭაძის სახელობის ერთიანი სტადიონის ოსტატთა კლუბში გაიმართა შეხვედრა ღვაწლმოსილ ქართველ ვეტერან ფეხბურთელთან და დამსახურებულ მწვრთნელთან ილია ლიბჟანიძესთან. ამ დღეებში მას დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

შეხვედრა გახსნა დამსახურებულმა მწვრთნელმა ანატოლი ნოროკიძემ, რომელმაც მიმოიხილა იუბილარის დიდი ღვაწლი ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში, ილაპარაკა იმ ღირსეულ დამსახურებაზე, რომელიც წლების მანძილზე გასწია ილიაჯანიძემ, როგორც ფეხბურთელმა, მწვრთნელმა, მსაჯმა და ადმინისტრატორმა. მისალმებებით გამოვიდნენ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენელი ნენარალიძე, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე ვაჩარაია, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ნანდრიაძე, პროფესორი გბუქია, სპორტის დამსახურებული ოსტატი გგაგუა, ვეტერანი ფეხბურთელები ძმები შ.და შ..ჯოჯუები.

ფეხბურთის ამაგდარს გადასცეს სამახსოვრო სანუქრები, მისასალმებელი აფრესები, უსურვეს ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ზოგი რამ უელსის ფეხბურთზე

დასაწყისი 1-ელ გვერდზე.

ბის წინ სერიოზული დაბრკოლებები აქვთ, კლუბები გვიან ათავისუფლებენ მოთამაშეებს, ან საერთოდ ამ უფლებას არც აძლევენ. ამას უელსის ნაკრების ყველა მწვრთნელი უჩიოდა, მაგრამ მეორე მხრივ ფეხბურთელები ინგლისურ კლუბებში ფრიად სერიოზულ მომზადებას იღებენ.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში (1990-92 წლების გათამაშება) უელსელები გერმანელებთან, ბელგიელებთან და ლუქსემბურგელებთან მოხვდნენ. წინასწარი შეფასებით ფინალის ერთადერთ საგზურს გერმანელები უნდა დაუფლებოდნენ, მათ მთავარ მეტოქედ კი ბელგიელები ითვლებოდნენ. მაგრამ მოხდა ისე, რომ უელსელები კინაღამ არ გავიდნენ ფინალში. მათ კარდიფში სძლიეს გერმანელებს (1-0), სამი ჭულა აართვეს ბელგიელებს (3-1, 1-1), ლუქსემბურგელები კი რიჯერ დაამარცხეს (1-0, 1-0). მხოლოდ მას შემდეგ, რაც გერმანელებისა და უელსელების საასუხო შეხვედრა ევროპის მაშინდელი ჩემპიონების გამარჯვებით (4-1) დამთავრდა, გერმანელები 10 ჭულით ფინალში გავიდნენ, ხოლო უელსელები 9 ჭულით მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ, თუმცა ექსპერტების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, თუ რომელი უელსელი ფეხბურთელები არიან მწვრთნელ მაიკლ სმითის განკარგულებაში თბილისის შეხვედრის წინ. მათ შორის არაერთი ცნობილი ოსტატია. რაც შეეხება უელსელთა სატურნირო მდგომარეობას, ისინი აშკარად უკმაყოფილონი არიან. მართალია, პირველ მატჩში „ნინიან პარკზე“ უელსელებმა მოუგეს ალბანელებს (2-0), მაგრამ შემდეგ საკმაოდ მოულოდნელად წაგეს (2-3) კიშინიოვში მოლდოვის ნაკრებთან. ეს მარცხი მაიკლ სმითმა და უელსელმა კომენტატორებმა ორი გარემოებით ახსნეს: ძალზე სუსტი და მიკერძოებული მსაჯობით და, გარდა ამისა, იმითაც, რომ ვერ შეძლეს თავიანთი უძლიერესი შემადგენლობის გამოყენება. ასეთ საკმაოდ მომცრო ტურნირში დამარცხება შეიძლება სიბედისწერო გამოდგეს, ამიტომაც თბილისის მატჩი, ეტყობა, მეტად მწვავე ბრძოლაში ჩაივლის.

ბივი გამრეკელი

კლუბების რეიტინგი 1 იანვრამდე

გადავხედოთ ევროპის უძლიერესი საფეხბურთო კლუბების „რეიტინგ-ლისტს“, რომელიც ძალაშია 1995 წლის 1 იანვრამდე. რეიტინგი მოსკოვის გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“ შეადგინა.

1. „მილანი“ (იტალია) — 84,28. მისი მთავარი მიღწევებია იტალიის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება. 2. ტურინის „იუვენტუსი“ (იტალია) — 66,19. მეორე ადგილი იტალიის ჩემპიონატში, უეფას თასის მეთხუთმეტფინალში გასვლა. 3. „ბარსელონა“ (ესპანეთი) — 60,54. ესპანეთის ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი. 4. „პარმა“ (იტალია) — 59,46. მეხუთე ადგილი იტალიის ჩემპიონატში, თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალისტი. 5. მილანის „ინტერი“ (იტალია) — 59,23. მეცამეტე ადგილი ქვეყნის პირველობაზე, უეფას თასის მფლობელი. „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) — 56,29. საფრანგეთის ჩემპიონი, თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალისტი. 7. „პალერმო“ (იტალია) — 55,92. მეთორმეტე ადგილი ქვეყნის პირველობაზე, უეფას თასის ნახევარფინალისტი, 8. ლონდონის „არსენალი“ (ინგლისი) — 54,55. მეოთხე ადგილი ქვეყნის პირველობაზე, თასების მფლობელთა თასის მფლობელი. 9. ბრიუსელის „ანდერლეხტი“ (ბელგია) — 53,59. ბელგიის ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგის დასკვნითი სტადიის მონაწილე. 10. რომის „ლაციო“ (იტალია) — 51,42. მეოთხე ადგილი იტალიის პირველობაზე, უეფას თასის მეთექვსმეტედფინალისტი. 11. „პორტუ“ (პორტუგალია) — 51,00. 12. „მონაკო“ (საფრანგეთი) — 49,68. 13. გენუის „სამპდორია“ (იტალია) — 49,04. 14. მარსელის „ოლიმპიკი“ (საფრანგეთი) — 47,79. 15. „კარლსრუე“ (გერმანია) — 47,33. 16. ლისაბონის „ბენფიკა“ (პორტუგალია) — 46,38. 17. მოსკოვის „სპარტაკი“ (რუსეთი) — 46,29. 18. „ტორინო“ (იტალია) — 45,24. 19. ბრემენის „ვერდერი“ (გერმანია) — 43,45. 20. „რომა“ (იტალია) — 42,83. 21. დორტმუნდის „ბორუსია“ (გერმანია) — 42,02. 22. „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — 41,39. 23. „ნაპოლი“ (იტალია) — 41,00. 24. „ოსერი“ (საფრანგეთი) — 40,35. 25. მაინის ფრანკფურტის „აინტრახტი“ (გერმანია) — 40,30. 26. „ბორდო“ (საფრანგეთი) — 40, 28. 27. ზალცბურგის „კაზინო“ (ავსტრია) — 40,03. 28. „ბრიუგე“ (ბელგია) — 39,05. 29. მადრიდის „რეალი“ (ესპანეთი) — 38,62. 30. ლა-კორუნის „დეპორტივო“ (ესპანეთი) — 37,53. 31. ლევერკუზენის „ბაიერი“ (გერმანია) — 37,50. 32. „ჯენოა“ (იტალია) — 36,95. 33. მიუნხენის „ბაიერნი“ (გერმანია) — 36,65. 34. ლისაბონის „სპორტინგი“ (პორტუგალია) — 36,44. 35. ამსტერდამის „აიაქსი“ (ჰოლანდია) — 36, 39. 36. „ბოავიშტა“ (პორტუგალია) — 35,09. 37. „კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია) — 34,30. 38. მოსკოვის „დინამო“ (რუსეთი) — 33,95. 39. „ფოჯა“ (იტალია) 33,00. 40. „ანტვერპენი“ (ბელგია) — 32,50. 41. „კრემონეზე“ (იტალია) — 32,00. 42. „ნორვიჩ სიტი“ (ინგლისი) — 31,99. 43. „ტენერიფე“ (ესპანეთი) — 31,94. 44. „ნანტი“ (საფრანგეთი) — 31,20. 45. „რეჯანა“ (იტალია) — 31.00. 46. სტამბოლის „გალათასარაი“ (თურქეთი) — 30,74. 47. „პალენკა“ (იტალია) — 30,00. 48. „სარაგოსა“ (ესპანეთი) — 29,54. 49. „ანსელიე“ (საფრანგეთი) — 29,17. 50. „ბლეკბერნ როვერსი“ (ინგლისი) — 28,79.

ყველაზე სწრაფი გოლები

ჯილდოს დაპირება ფეხბურთელებზე ერთობ კეთილად მოქმედებს. იტალიაში 1980-1981 წლების სეზონის დაწყების წინ რომელიღაც გულშემატკივარმა, რომელმაც გვარის გამხელა არ სურდა, ჯილდოდ 700 ბოთლი ღვინო აღუთქვა იმ ფეხბურთელს, რომელიც ჩემპიონატის პირველ გოლს გაიტანდა. ეს „ღვინის პრემია“ დაიმსახურა „აველინოს“ მოთამაშემ დეპინტიმ, რომელმაც „ბრეშიასთან“ შეხვედრაში უკვე მეოთხე წუთზე გაიტანა ბურთი.

ფეხბურთის ისტორიაში უსწრაფესი გოლი 1964 წლის 25 აპრილს გაიტანა ჯიმ ფრიატსმა ინგლისის IV ლიგის მატჩში „ბრედფორდსა“ და „ტრანმერ როვერსს“ შორის. მან სასტვენის მიცემისთანავე მიიღო გადაცემა და მეტოქის კარში გაგზავნა ბურთი, რომელმაც გადაკვეთა კიდეც ხაზი. მსაჯის წამმზომზე სულ 4 წამი გავიდა.

ასევე ოთხი წამი დასჭირდა კიდევ ორი ბურთის გატანას, ამასთან, ორივე ეს ამბავი ბრაზილიაში მოხდა. 1973 წლის 30 ოქტომბერს ბაიას „იუვენტუსისა“ და „ფკ 15 ოქტუბეს“ შეხვედრაში გოლი გაიტანა ლაურინიომ, მეორედ კი ეს გააკეთა განთქმულმა ფეხბურთელმა რობერტო რიველინომ სანპაულუს „კორინტიანსისა“ და „ამერიკის“ მატჩში. რიველინომ, როგორც საგენტორები იუწყებოდნენ, 40 მეტრიდან დაარტყა კარში და მეკარემ ვერ მოასწრო რეაგირება. უკვე მე-6 წამზე გაიტანა გოლი ინგლისელმა თომი ლენგლიმ 1980 წლის ოქტომბერში.

ინგლისის მეორე ლიგის „ქუინზ პარკ რეინჯერსისა“ (ლონდონი) და „ბოლტონ უონდერერსის“ მატჩში სულ 8 წამი იყო თამაშის დაწყებიდან გასული არგენტინის პირველობაზე „გიმნასიისა“ და ბუენოს-აირესის „ხურაკანის“ მატჩში, როდესაც სოპოგეურამ შეძლო ბურთის გატანა. დი სტეფანოსაც ჰქონდა შემთხვევა, როცა უკვე მე-9 წამზე გახსნა ანგარიში. ქ.დიერის „საბა ეტოს“ ფეხბურთელმა ლაზარ შენტეშმა თავის პრაქტიკაში ორჯერ შეძლო უკვე პირველ წუთზე გაეტანა ბურთები.

ჩვენ აქამდე ოფიციალური ლიგის კალენდარულ მატჩებს ვგულისხმობდით, მაგრამ თუ სტატისტიკოსებს დავერწმუნებით, სამოყვარულო ფეხბურთში რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა გოლი მეოთხეზე კი არა, უკვე მესამე წამზეც გასულა.

რაც შეეხება ჩეხოსლოვაკურ ფეხბურთს, ცხადია, მასაც ჰყავს თავისი რეკორდსმენი გოლის სწრაფად გატანაში: იგი პრაღის „სპარტის“ თავდასმხმელ ვაცლავ მაშეკს ეკუთვნის. როგორც იოზეფ მასოპუსტი თავის მოგონებებში წერს, მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატზე ჩილეში მაშეკმა უკვე მე-20 წამზე გაიტანა გოლი, ხოლო რაც შეეხება ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატს, აქ რეკორდი ეკუთვნის ცნობილ ფეხბურთელსა და ჰოკეისტს ვლადიმირ ბოუცეკს. 1947 წელს ერთმანეთს ხვდებოდნენ პრაღის „სპარტა“ და „ოსტრავა“. ბოუცეკმა უკვე მეათე წამზე გაიტანა გოლი „ოსტრავას“ კარში. ბრატისლავის „სლოვანის“ მოთამაშემ იოზეფ რბერტმა 1964 წელს პრაღის „სპარტაკთან“ შეხვედრაში, რომელიც „სლოვანმა“ მოიგო ანგარიშით 2:1, ბურთი მეტოქის კარში თითქმის მსაჯის სასტვენისთანავე გაიტანა. ასევეთივე გოლი მე-15 წამზე გაიტანა 1978 წელს პრაღის „დუკლას“ მოთამაშემ სტანისლავ პელცმა „ვსს კოშიცესთან“ შეხვედრაში.

გოლები გააქვთ... მეკარეებს

ფეხბურთში განსაკუთრებით ამაღელვებელია, როცა გოლი გააქვთ... მეკარეებს, ამას თუ გნებავთ, საფეხბურთო სენსაციებს შიაკუთვნებენ, განსაკუთრებით თუ იგი თამაშის ბედს წყვეტს. ზოგჯერ ასეც ხდება. 1981 წლის მაისში ჩეხოსლოვაკიის მეორე ლიგაში ერთმანეთს შეხვდნენ „ტი გოტვალდოვი“ და „ტც ტრონეცი“. გაიმარჯვეს გოტვალდოვის ფეხბურთელებმა (2-1), ამასთან, გადამწყვეტი ბურთი მათმა მეკარემ ალიოზ მაჩელამ გაიტანა. იგივე გააკეთა ჰავიროვის „ბანიკის“ მეკარე დლუჰმ „ნახოდასთან“ შეხვედრაში.

იან ფეკეტე:

„საფეხბურთო დეკანეროზი“

გოლების გატანის ოსტატობით გამოირჩეოდა მეკარე ალიოზ დოლეი, რომელიც 50-იან წლებში პრაღის „სლავიასა“ და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში გამოდიოდა. 1958 წელს პრაღას ეწვივნენ ინგლისურ კლუბ „გრიმსბი თაუნის“ ფეხბურთელები, მათთან მატჩში დოლეიშმ ისეთი სიძლიერით დაარტყა ბურთი, რომ ინგლისელი მეკარე დაიბნა და ვერ შეძლო მისი მოგერიება. მატჩი ფრედ დასრულდა — 2-2.

დოლეიშის სახელთან ერთი საფეხბურთო კურიოზიც გახლავთ დაკავშირებული. ჩეხოსლოვაკიის 1957-1958 წლების ჩემპიონატში ერთმანეთს ხვდებოდნენ პრაღის გუნდები „სლავია“ და „დუკლა“. დოლეიშმ კარიდან დაარტყა ბურთი, იგი მინდვრის ცენტრში მიიღო მისმა თანაგუნდელმა მილან დვორაკმა, არც აცივა, არც აცხელა, ბურთს მიწაზე დაშვებაც არ აცალა და უძლიერესი დარტყმით გაგზავნა... საკუთარ კარში! დოლეიშმ მხოლოდ ხელები გაასავსავა.

ამ რამდენიმე წლის წინათ ისლანდიის ჩემპიონატში საინტერესო ამბავი მოხდა: 840 მაყურებელი ესწრებოდა პირველი ლიგის კლუბების „ია აკრანესისა“ და „ვიკინგურის“ (რეიკიავიკი) მატჩს. თავი გამოიჩინა „აკრანესის“ მეკარემ იონ ტორბიორნსონმა. მან ისეთი სიძლიერით გაგზავნა ბურთი საკუთარი კარიდან, რომ „ვიკინგურის“ კარის დარაჯმა დიერიხ ოლაფსონმა ვერ შეძლო მისი მოგერიება. სნაიპერ მეკარეთა რიცხვს განთქმული ინგლისელი პიტერ �ლტონიც უნდა მივაკუთვნოთ. 1967 წელს „ლესტერ სიტისა“ და „საუთჰემპტონის“ მატჩში მან პირდაპირ თავისი საჯარიმო მოედნიდან გაუტანა გოლი კოლეგას — ფორსაიტს. ასევთივე სნაიპერული ღირსებებით გამოირჩეოდა პოლონელი მეკარე სიკორსკი. საფრანგეთში გასტროლების დროს მან ასეთი შორეული დარტყმით აიღო „სენტ ეულიენის“ კარი.

ინგლისელმა მეკარემ ჯიმ ბრაუნმა 1983 წელს, როცა ინგლისის მეოთხე ლიგის კლუბ „ჩესტერფილდში“ გამოდიოდა, ორი გოლი გაიტანა საკუთარი კარიდან დარტყმებით. შემდეგ ბრაუნი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, იქ „ვაშინგტონ დიპლომატსში“ თამაშობდა და იქაც საკმაოდ ხშირად გაჰქონდა გოლები. მას „დინამიტ-ბრაუნიც“ კი შეარქვეს.

როგორც ბომბარდირს, მრისხანე სახელი ჰქონდა ცნობილ იუგოსლავიელ მეკარე დრაგან პანტელიჩს. 1980 წელს, როცა ნიშის „რადნიჩკიში“ გამოდიოდა, მოსტარის „ველეჟთან“ შეხვედრაში საკუთარი კარიდან ისე ძლიერად დაარტყა ბურთი, რომ მან მეტოქის საჯარიმო მოედანამდე მიაღწია, იქ მიმართულება შეიცვალა და კარში გავიდა. კარს კი ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი ენვერ მარიჩი იცავდა. საინტერესოა, რომ ეს გოლი იმ სეზონში პანტელიჩისთვის უკვე მეოთხე იყო, მანამდე მან სამი პენალტი დაარტყა „ფკ ბელგრადის“ კარში და სამივე ზუსტად, იმ დროისათვის მეკარე ნიშის „როდნიჩკის“... ყველაზე შედეგიან სნაიპერად იქცა!

გოლეადორს უწოდებენ ამერიკელ მეკარე ზიკოს, სახელგანთქმული ბრაზილიელი თავდამსხმელის სეხნიას. იგი პარანას შტატის კლუბ „კასკაველში“ თამაშობდა და „კოლორადოსთან“ შეხვედრაში ანგარიში გახსნა, საბოლოო შედეგი კი 3-0 იყო.

იტალიის ერთ-ერთ რეგიონულ შეჯიბრებაში ასეთი რამ მოხდა: 1978 წელს ზონაში გადამწყვეტი მატჩი გაიმართა, რომლის ბედი სრულიად კურიოზულმა გოლმა გადაწყვიტა. მეკარე ანჯელო კასონატომ მე-10 წუთზე საკუთარი კარიდან დაარტყა ბურთი, იგი ორ-სამჯერ დაეცა მიწაზე და მეტოქის ბადეში გაეხვია.

1984 წლის მაისში საინტერესო რამ შეემთხვა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ყოფილ მეკარე ფრანტიშეკ ტშამბახერს. პრაღაში „დუკლასა“ და „სლავიის“ შეხვედრაში 28-წუთზე მან საკუთარი კარიდან დაარტყა, მეტოქის საჯარიმო მოედანზე ბურთის დაუფლებას შეეცადნენ „დუკლას“ თავდამსხმელი ვიგერი და „სლავიის“ მეკარე იურაი შიმურკა. მათ შეუშალეს ხელი, ბურთი კი ორივეს გადაახტა და... ბადეში აღმოჩნდა.

სლოვაკურიდან თარგმნა
ბივი გამრეკელმა

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №4, 6, 8, 35, 37, 38.

ტურნირის ეჭო

მსოფლიომ ორჯერ შეირცხვინა თავი

ამას [illegible] ლადიკავკაზში გაიმართა საინტერესო სამატჩო შეხვედრები თავისუფალ ჭიდაობაში. მახპინძლებს, როგორც ჩანს, კარგი ჩანაფიქრი ჰქონდათ, როცა რუსეთისა და ოსეთის გუნდებთან საასპარეზოდ იწვევდნენ მსოფლიოს ნაკრებს, მაგრამ სტუმრების შემადგენლობა არ გამოდგა ისეთი ძალის, როგორიც სასურველი იყო. ამის მიუხედავად, შეხვედრები შედგა და მსოფლიოს საჭიდაო სტატისტიკაში ჩაიწერა, რომ რუსეთმა, ისევე როგორც ოსეთმა, დაამარცხა მსოფლიოს ნაკრები შესაბამისად 9:2 და 6:4.

გთავაზობთ რუსეთისა და მსოფლიოს ნაკრების შეხვედრათა შედეგებს:

48 კგ. ვუგარ ორუჯევი (რუსეთი) — ალექსის ვილასი (კუბა) 1:0

52 კგ. აფის ჯავადოვი (რუსეთი) — ვალენტინ იორდანოვი (ბულგარეთი) 0:1

57 კგ. ბაგაუდინ უმახანოვი (რუსეთი) — ალექსანდერ პუერტო (კუბა) 1:0

62 კგ. მოჰამედ აზიზოვი (რუსეთი) — ტომ ბრენდი (აშშ) 1:0

68 კგ. თეიმურაზ ურუსოვი (რუსეთი) — ტაუზენდ სანდერსი (აშშ) 0:1

74 კგ. საგიდ კატინავასოვი (რუსეთი) — ქელან ტურანი (თურქეთი) 1:0

82 კგ. რუსტემ ჭელეხსაევი (რუსეთი) — კევინ ჯეკსონი (აშშ) 1:0

90 კგ. მახარბეკ ხადარცევი (რუსეთი) — მელვინ დუგლასი (აშშ) 1:0

100 კგ. დავიდ მუსულბესი (რუსეთი) — არავატ საბიევი (გერმანია) 1:0

130 კგ. ნუელსანდერ შემიტინი (რუსეთი) — მაჰმად ღამირი (თურქეთი) 1:0

სტუმრების თხოვნით გაიმართა კიდევ ერთი დამატებითი შეხვედრა 74 კგ წონით კატეგორიაში, რომლის შედეგიც გაითვალისწინეს გუნდურ ჩათვლაში. მეცხრე ქულა რუსეთის ნაკრებს მოუტანა ნასირ გაჯიხანოვმა. მან ამერიკელი ვეტერანი დეივ შულცი დაამარცხა.

„კალათბურთის ორმოცი მცნება“

სპორტს, მაშასადამე კალათბურთსაც აქვს კანონები, რომლებიც ემყარება წესებისა და თამაშის გამიჯვნილებს. კალათბურთში იგი ამერიკელმა სპეციალისტებმა (შელი, დიკი, ბრაუნინგი, მაკდონალდი) სხვადასხვა დროს ბროშურებსა და წერილებში ჩამოაყალიბეს, მერე კი ახალგაზრდა მოთამაშეებისათვის რჩევა-დარიგებების სახით, ერთ სახელმძღვანელო დისციპლინად წარმოადგინეს.

„კალათბურთის ორმოცი მცნების“ დამახსოვრება არ არის ძნელი, ცოდნა კი საჭიროა, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც არა ჰყავს მწვრთნელი და დამოუკიდებლად აპირებს პირველი ნაბიჯების გადადგმას სპორტში. რჩევა-დარიგებები, უმთავრესად, საკალათბურთო ოსტატობის ოთხ კომპონენტს ეხება. ესენია: კალათში სროლა, ბურთის ტარება, ბრძოლა ფარქვეშ და დაცვაში თამაში.

კალათში სროლა

1. კონტროლი ბურთს უნდა გაუწიოთ თითის წვერებით და არავითარ შემთხვევაში ხელისგულებით.

2. კალათში სროლა, როგორც წესი, მტევნის მდოკრე მოძრაობით უნდა დამთავრდეს.

3. სროლის დროს იდაყვებს განზე ნუ გასწევთ.

4. მხრის სარტყელი უნდა აბრუნოთ კალათის მიმართულებით.

5. ნახტომში სროლისას ეცადეთ ბურთი დროზე გაუშვათ ხელიდან.

6. სროლის წინ სხეული წონასწორობის მდგომარეობაში უნდა იყოს.

7. სროლა უმჯობესია იმ სტილით, რომელიც ყველაზე უკეთ გაქვთ ათვისებული.

8. დაეუფლეთ სროლას ორთავე ხელით. თამაშის დროს ხან მარჯვენა ხელით სროლაა ხელსაყრელი, ხან მარცხენით.

9. თუ ხელსაყრელ პოზიციაში ხართ, თავად ესროლეთ. ასეთ დროს პასი შეცდომაა. ზედეტი და უსარგებლო გადაცემა აწლუგებს ინიციატივას.

10. იყავით საკუთარ ძალაში დარწმუნებული. გახსოვდეთ, რომ გუნდის ყველა წევრი ერთნაირად კარგად უნდა ისროდეს კალათში.

11. ნახტომში სროლის სრულყოფას გამუდმებით უნდა ხვეწდეთ. ეს ტექნიკური კალათბურთელის მთავარი იარაღია.

12. ეცადეთ დაეუფლოთ მოედნის კუთხეებიდან სროლას ნახტომში, შემობრუნებით (დრიბლინგის შემდეგ).

ბურთის ტარება

13. ბურთი უნდა ატაროთ თითის წვერებით და არა ხელისგულით, განსაკუთრებით დაბალი დრიბლინგის დროს.

14. დრიბლინგის დროს ბურთს ნუ უყურებთ. მხედველობის არეში უნდა გყავდეთ მხოლოდ პარტნიორები და მოწინააღმდეგე.

15. დაეუფლეთ ბურთის ტარებას ორივე ხელით.

16. დრიბლინგის დროს ბურთი მეტწილად თქვენს წინ უნდა იყოს. იშვიათ შემთხვევაში — უკან.

17. ნუ ეცდებით ბურთის ორი ხელით აღებას.

18. ისწავლეთ ბურთის ტარება მოედნის ორთავე მხარეს (მარჯვნივ და მარცხნივ).

19. რაც შეიძლება ხშირად გამოიყენეთ ცრუ მოძრაობა თავით და მხრით. იცოდეთ, ამ დროს მეტოქე წონასწორობას კარგავს.

20. არავითარ შემთხვევაში არ შეაქციოთ მეტოქეს ზურგი, თორემ გამოგრჩებათ დროული გადაცემისათვის ან სროლისათვის ხელსაყრელი მომენტი.

ბრძოლა ფარიდან ასხლეტილი ბურთისათვის

21. ისწავლეთ ბრძოლა ბურთისათვის, რომელიც კალათში არ ჩავარდნილა.

22. ბურთისათვის ბრძოლის დროს იდაყვები განზე უნდა გქონდეთ გაწეული.

23. ეცადეთ გზა მოუჭრათ მეტოქეს კალათისაკენ.

24. ნურასდროს დაიკავებთ ადგილს უშუალოდ კალათის ქვეშ.

25. ეცადეთ ბურთი ორი ხელით დაიჭიროთ, თანაც შეძლებისდაგვარად მოაცილოთ მეტოქეს.

26. ჩაიგდებთ თუ არა ბურთს ხელში, მოიბრუნეთ პარტნიორი, რომელიც მზად არის შეტევისათვის და სწორედ მას მიეცით პასი. შეტევა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს. ეს წარმატების მეტ შანსს იძლევა.

27. ბურთისათვის ბრძოლის დროს ისეთი პოზიცია შეარჩიეთ, სადაც ნაკლები მეტოქე იქნება. მაღალი ბურთისთვის ბრძოლის დროს [illegible] ინაცვლებლობა აქვს ფარის ქვეშ ხელსაყრელი პოზიციის შერჩევას. კარგად შერჩეული პოზიცია თავიდან აგაცილებთ პერსონალურ შეცდომას.

28. ფარქვეშ ბრძოლისას ეცადეთ ასტეთ რაც შეიძლება უფრო მაღლა.

თამაში დაცვაში

29. არასდროს არ გადაჯვარედინოთ ფეხები. ამორჩევეთ ფეხები მოკრიჭებითი.

30. თუ ბურთი მოედნის მეორე მხარესაა, მეტოქესთან ძალიან ახლოს ნუ დადგებით.

31. ხელები მუდამ ზეაღმართული გქონდეთ. ეს მეტოქეს ხელს უშლის სროლაშიც და ზუსტი გადაცემის შესრულებაშიც.

32. მეტოქეს ბურთი უნდა წაართვათ იმ ხელით, რომელიც ამ დროს მასთან უფრო ახლოა.

33. თუ მეტოქე ბურთს ატარებს, ეცადეთ ქვემოდან გაგდებინოთ იგი ხელიდან.

34. მუდამ ყურადღებით იყავით. არ გამოტოვოთ მეტოქის არც ერთი მოძრაობა, თორემ იგი უსათუოდ გაგექცევათ.

35. ითამაშეთ მუდამ მეტოქეზე და არა ბურთზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნუ მისცემთ მოწინააღმდეგეს ბურთის მიღების საშუალებას.

36. კალათისაკენ მიმავალ მეტოქეს წინასწარ გადაუჭერით გზა. ნუ დაელოდებით მის მოახლოებას.

37. დაუკვირდით, ორივე ხელით თამაშობს მეტოქე თუ ცალით.

38. უსათუოდ უნდა იცოდეთ რომელი ხელით და როგორი პოზიციიდან ისვრის ბურთს კალათში თქვენი მეტოქე. ასეთ დროს ხელის შუშლა უფრო აღვილია და უპრიანიც.

39. თუ მეტოქე კარგად ტყორცნის კალათში, ეთამაშეთ მას მჭიდროდ. თუ ტყორცნას გადაცემას ამჯობინებს, შეგიძლიათ მეტი თავისუფლება მისცეთ.

40. კარგ დრიბლიორს დრავითარ შემთხვევაში არ ეთამაშოთ ახლოს. იცოდეთ, უსათუოდ გაგექცევათ.

სამოყვარულო კალათბურთი ტექნიკასა და ტაქტიკას პროფესიული კალათბურთისაგან ხესნულობს (ყოველ შემთხვევაში, ბევრ ელემენტს). ამიტომ-ურიგოდ არ იქნება თუ პროფესიული კალათბურთის ზოგ თავისებურებასაც გავეცნობით.

დასაშვებია: კორპუსით თამაში, ტანით მეტოქის ბლოკირება, ნახტომში მოწინააღმდეგისათვის მხარის კვრა.

პროფესიონალები ზონურ დაცვას არ მიმართავენ. მოთამაშეთა მჭიდრო მეურვეობა (პრინციპით ერთი-ერთზე) მათი მთავარი კოზირია.

სამოყვარულო კალათბურთის სტრატეგია: კომბინაცია უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ რომელიმე მოთამაშე სროლისათვის ხელსაყრელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდება. 30 წამის წესი ამის საშუალებას იძლევა.

პროფესიონალთა სტრატეგია განსხვავებულია: რახან სანახობრივ მხარეს აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, დრო კი ცოტაა, ბურთის ხელში ჩაგდებისთანავე ყველა კალათისკენ მიიწევს და ვიღაც წამსვე ისვრის.

პროფესიონალები მსჯელობენ ასე: თუ პოზიცია ხელსაყრელია — ესროლე, თუ არც ისე ხელსაყრელი — მაინც ესროლე, თუ პოზიცია უვარგისია — ესროლე, ან ბურთი პარტნიორს გადაეცი (პირველ ყოვლისა, მაინც სროლაა რეკომენდებული).

ერთი შეხედვით ასეთი ტაქტიკა გაუმართლებლად შეიძლება გეჩვენოს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. არ უნდა დაგავიწყდეს არასდროს, რომ პროფესიონალები ბრწყინვალედ იბრძვიან ფარიდან ასხლეტილი ბურთისათვის.

ამ ბოლო დროს პროფესიონალები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ თამაშის პირობები რთულდება, მიზანი კი იგივე რჩება — რაც შეიძლება ბევრი ქულა მოიპოვო. რა გზით შეიძლება ამ პრობლემის დაძლევა? კალათბურთელთა სიმაღლის გაზრდით, სროლის მაქსიმალური სიზუსტით, თამაშის ტემპის გაძლიერებით.

სამაგიეროდ, ბევრად უფრო გამარტივდა ტაქტიკა. დღევანდელი პროფესიული კალათბურთი პირობითად ასეც შეიძლება წარმოვიდგინოთ: სწრაფი შეტევა, სროლა, სწრაფად უკან დაბრუნება და ფარქვეშ უშეღავთი ბრძოლა. პრესინგს მთელ მოედანზე მხოლოდ ყველაზე ტექნიკური გუნდი მიმართავს.

ამერიკელთა კონსულტაცია

ანალიტიკოსი მანქანა

ელექტრონული მანქანები მთლიანად დატვირთულია. ისინი არა მარტო სამეცნიერო და ეკონომიკურ პრობლემებს ამუშავებენ, არამედ სულ უფრო აქტიურად იჭრებიან სპორტის სფეროშიც. სწორედ ელექტრონულმა მანქანამ გამოითვალა ერთხელ, რომ ყველაზე ძლიერი პროფესიონალი მოკრივე წარსულში როკი მარჩიანო იყო. სხვათა შორის, ამგვარი სამუშაო ელექტრონულმა ტვინმა ჩატარა მსოფლიოს უძლიერესი პროფესიონალი ველოსიპედისტის დასადგენადაც.

პირველი საგზტეცილო რბოლა მსოფლიოში 1869 წელს ჩატარდა პარიზსა და რუანს შორის 120-კილომეტრიან ტრასაზე, რომელიც მოიგო ინგლისელმა ჯონ მურმა (საშუალო სისწრაფე — 12,4 კილომეტრი საათში). მას შემდეგ მსოფლიოში რეგულარულად ეწყობა სხვადასხვა დონისა და მნიშვნელობის შეჯიბრებები, რომელთა შორის უმთავრესია „ტურ დე ფრანსი“, „ჯირო დ' იტალია“, მსოფლიოს ჩემპიონატები პროფესიონალთა შორის და კიდევ რამდენიმე ერთდღიანი და მრავალდღიანი რბოლა.

ველოსიპედისტთა ოსტატობის დონე სხვადასხვა დროს, ცხადია, სხვადასხვა იყო. მაგალითად, 1903 წლის „ტურ დე ფრანსის“ ჩემპიონის შორის გარენის სიჩქარე საათში 25,683 კილომეტრს არ აღემატებოდა, 1962 წლის ჩემპიონის ჟაკ ანკეტილის კი 37,306 კილომეტრს. ღღეისდღეს ვარსკვლავებს საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალი აქვთ. ამიტომ მანქანას ყველა ველოსიპედისტის მონაცემები უნდა გაეანალიზებინა და ამის საფუძველზე გამოეკვლია ყველა დროის საუკეთესო ველოსიპედისტი.

„ტურ დე ფრანსში“, „ჯირო დ' იტალიაში“ და მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო ქულათა ასეთი შეფარდება: I ადგილი — 5, II ადგილი — 3, III ადგილი — 1. იყო მეორე კატეგორიის შეჯიბრებები (მაგალითად, ესპანეთის „ვუელტა“, შვეიცარიის „ტურ დე სიუსი“, „ლომბარდიის ტური“, „ერთვნულთა ვრან-პრი“ ბელგიეთ პარიზის, ბრიუსელის, მილანისა და სხვა ქალაქების ერთდღიანი რბოლები), სადაც პრიზიორებს შესაბამისად ნაკლები ქულები (3,2 და 1) ეძლეოდათ.

ყველა მონაცემის გულმოდგინე ანალიზის შემდეგ მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ველოსიპედისტებად გამოცხადდნენ აწ განსვენებული იტალიელი ფაუსტო კოპი და ფრანგი ჟაკ ანკეტილი. სხვათა შორის, ათეულში მოხვედრილ რვა ველოსიპედისტს სპორტისთვის თავი უკვე დანებებული აქვს.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯიღაური.

საქართველოს რგბის კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი რაგბიში

რევაზ მელიტონის ძე ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პრიმიწალური ქრონიკა

● ოქტომბრის მინურულს მოსკოვში, საკუთარი ბინის წინ თავს დაესხნენ ოლიმპიურ ჩემპიონს ფრენბურთში, რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების უფროს მწვრთნელს ალექსანდრე საკინს. სამმა უცნობმა ბოროტმოქმედმა რკინის ძალაყინით თავის ქალა ჩაუმტვრია ორმეტრიან გიგანტს. დაზარალებულმა რამდენიმე დღე დაპყო რეანიმაციის განყოფილებაში. ექიმების განცხადებით სავინი კრიტიკული მდგომარეობიდან გამოძვრა.

● ხიროსიმაში აზიის თამაშების წინ დაიკარგა 20 ბანგლადეშელი ჟურნალისტი, რომლებიც იაპონიაში ჩასული იყვნენ ამ ლონისძიების გასაშუქებლად, მაგრამ არც ერთი სტრიქონი მასალა არ გადაუციათ რედაქციებში. ეს კი არა, პოლიციის განცხადებით ისინი ხიროსიმაში არც კი ჩასულან — ტოკიოშივე გაუჩინარდნენ. ვარაუდობენ, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში ისინი კერძო სამუშაოს ეძებენ.

● ცნობილი ბრაზილიელი ავტომობილისტის აირტონ სენას ტრაგიკული სიკვდილი გამოიწვია ავარიის დროს თავის არეში მიღებულმა მძიმე ტრავმამ. პილოტის მუზარადმა დარტყმის ძალა, სამწუხაროდ, ვერ შეანელა, ვინაიდან სენა დიდი სისწრაფით მიაქროლებდა თავის მანქანას. ეს დაადასტურა სან-მარინოს გრან-პრის სამედიცინო კომისიის საკმაოდ ვრცელმა დასკვნამ, რაც აბსოლუტურად დაემთხვა გაკვეთის შედეგებს. ბოლონიის მაგისტრატის ჩინოვნიკმა მაურიციო პასარინიმ თავის დროზე უარი თქვა უბედური შემთხვევის მიზეზების კომენტარებზე და მხოლოდ გაიმეორა ცნობილი ვერსია იმის შესახებ, რომ ბრაზილიელმა დაკარგა მართვის კონტროლი, როცა სისწრაფემ საათში 280 კილომეტრს მიაღწია.

● რიგაში 39 წლისა გარდაიცვალა ყოფილი სსრ კავშირის პოკერისტთა ნაკრების წევრი ვიქტორ ხატულევი. იგი ქუჩაში იპოვნეს დაგდებული ნაშუალამევს შემთხვევითმა გამვლელებმა. არის ვარაუდი, რომ ხატულევის სიკვდილი გულის შეტევამ გამოიწვია, თუმცა პოლიცია კონკრეტული განცხადებისაგან ჯერჯერობით თავს იკავებს. სხვათა შორის, ხატულევი პირველი საბჭოთა პოკერისტია, რომელიც ნაწილ-მ თავის დრაფტში შეიყვანა. მაშინ იგი „ფილადელფია ფლაირზმა“ შეიძინა.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

კედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრაზე

1. კათედრის დოცენტი -1 ერთეული, პედაგოგიკის სპეციალობით, მეცნიერების კანდიდატი.

2. უფროსი მასწავლებელი -1 ერთეული, ფსიქოლოგიის სპეციალობით.

ფიზიკური კულტურის მართვისა და ისტორიის კათედრაზე

1. კათედრის დოცენტი - 1 ერთეული, მეცნიერების კანდიდატი.

სპორტული მედიცინის კათედრაზე

1. უფროსი მასწავლებელი -1 ერთეული, სპორტული ნაგებობების სპეციალობით.

ენების კათედრაზე

1. უფროსი მასწავლებელი - 1 ერთეული, ქართული ენის სპეციალობით.

ტანვარჯიშის კათედრაზე

1. უფროსი მასწავლებელი -1 ერთეული აკრობატიკის სპეციალობით.

ფეხბურთის, ხელბურთისა და ჩოგბურთის კათედრაზე

1. უფროსი მასწავლებელი - 1 ერთეული — ფეხბურთის სპეციალობით.

ჭიდაობის, ძალოსნობისა და კრივის კათედრაზე

1. უფროსი მასწავლებელი - 1 ერთეული — თავისუფალი ჭიდაობის სპეციალობით.

სპორტთამაშების კათედრაზე

1. უფროსი მასწავლებლის - 1 ერთეული — ფრენბურთის სპეციალობით.

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №49.
ტელ: 23 - 09 - 02.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“